ISSN 0132-6015

ნიანგი

15 — 84

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხიზილალა, სათალი, ზუთხი იშოვეს? დეკეულები და ცხვრები მორეკეს?
— კი!
— აბა, მაშინ რაღა ატირებთ?!

ნახ. ლალი ზამბახიძისა

ულ უბრალო საქმეა გასაკეთებელი: მაგალმა პირმა მოთხრობა თუ რომანი დწერა. იგი უნდა წაიკითხონ რედაქციის თანამშრომლებმა. ყველა ჰპირდება ავტორს, უთუოდ ახლავე წავიკითხავო, მაგრამ არავინ კითხულობს. ყველას ეზარება დაპირების ასრულება. მით უმეტეს, მოულოდნელია ეს უსულგულო დამოკიდებულება, როცა ავტორი და რედაქტორები ამხანაგები არიან. ახლობლობამ თითქოს მაინც უნდა გაიძულოს, ყურადღება მიაქციო მოყვასის თხოვნას. მაგრამ არაფერი ჭრის. მიდის დრო: ზამთარს გაზაფხული ცვლის, გაზაფხულს — ზაფხული, ზაფხულს — შემოდგომა, შემოდგომას — კვლავ ზამთარი. მაგრამ ხელნაწერი ისევ წაუკითხავია და წაუკითხავი. დაიკარგა კიდეც იგი. ავტორმა ფურცელ-ფურცელ უნდა შეაკოწიწოს ახალი ვარიანტი და თავიდან დაიწყოს გზათა უკან წაწყნარი.

ისიც ფილმი უნახავს, მაშინვე მიხვდება, რომ გიიმბეთ **რეზო ჭეიშვილისა** და **ელდარ შენგელაიას** კინოსურათი **„ცისფერი მთების“** სიუჟეტური სქემა.

რთი არის გამოწვეული ეს გულგრილობა? რომელიღაც რედაქციის ცუდი მუშაობის შედეგია იგი თუ ადამიანთა თვისებისა? თუ ეს მხოლოდ რედაქციის ცუდი მუშაობის შედეგია, მაშინ კინოპამფლეტი გვინახავს, ხოლო თუ ადამიანთა თვისების შედეგია, მაშინ ტრაგედიას დავსწრებივართ, კაცთა გამოფიტულობის ტრაგედიას, თუმცა ფილმი მაყურებელთა სიცილ-კიკისში მიმდინარეობს.

ფილმში ნაჩვენები უსულგულობა ადამიანთა თვისებაა. ამის საბუთია ორი რამ. პირველი: საერთოდ, რ. ჭეიშვილი თავის მოთხრობებში და ე. შენგელაია თავის ფილმებში აკვირდებიან და ეძებენ ადამიანის თვისებას. მათ ნაკლებ აინტერესებთ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარებით ნაშიში საქციელი. მეორე: „კერძოდ, „ცისფერ მთებში“ პერსონაჟებს არც ენერგია აკლიათ და არც მოქმედების უნარი. ოღონდ ამაოდ იხარჯება მათი ენერგია, არაფრისკენ არის მიმართული მათი ქმედება.

რასაც ისინი აკეთებენ, არანაკლები ენერგია უნდა, ვიდრე მათი უშუალო ფუნქციის მესრულებას — რედაქციაში შემოსული ხელნაწერის წაკითხვას.

რას აკეთებენ ისინი?

კედელზე ხურათი ჰკიდია (გრენლანდიის ვეიზაკი). ერთ-ერთი რედაქტორი მოიფხოვს — ხურათი ჩამოხსნან ნ ოთახიდან გაიტანონ! სამეურნეო ნაწილის გამგე ამის წინააღმდეგია. ამის გამო ისინი დუსრულებლად დაობენ.

მეორე რედაქტორი ფრანგულის სწავლობს ბეჯითად, გულმოდგინედ. როცა უნდა გაალიოთ მისი ოთახის კარი, მაშინვე გაიგონებთ ფრანგული სიტყვებს, რომელთაც ისმენს და იმეორებს რედაქტორი.

მესამე რედაქტორი კაბებს კერავს, ხშირად წააწყდებით მის ოთახში ნახევრად ტიტველ ქალებს, რომელნიც ტანსაცმელს იზომავენ.

მეოთხე რედაქტორი ყოველთვის სკოლიდან დაბრუნებულ შვილს ეკვებება და უკლის, თან გერმანულად ეელეკტრულება.

რედაქტორთა ერთი ჯგუფი კი მთელი დღე თავაუღებლად ჭადრაკს თამაშობს.

დირექტორი სულ ტელეფონით ლაპარაკობს. თან სულ თათბირზე მიეჩქარება!..

ასე და ამგვარად ცხოვრობენ ისინი.

ხომ უნდა ენერგია და ძალა გაუთავებელ დავას, ფრანგულის სწავლას, კაბების კერვას, შვილის მოვლას, ჭადრაკის თამაშს, ტელეფონით ლაპარაკს, თათბირზე ჯდომას? ცხადია, უნდა და ბევრად უფრო მეტი, ვიდრე მშვიდად ხელნაწერის კითხვას.

მაშასადამე, ისინი არ არიან უნერგიო, ზარმაცი ადამიანები.

არც მშიშრები არიან. როცა გუგუნ-გრიალით რედაქციის კედლები დასკდება და ჭერი თავზე დაემხობა, ერთ-ერთი რედაქტორი მშვიდად უკან შემობრუნდება, რაკი ოთახში ქუდი დარჩა. მას არ აფრთხობს ნგრევის საშიშროება. დირექტორსაც საკმაოდ აუღელვებლად გამოჰყავს სტუმრები შენობიდან. ხოლო მოტორთმცველთა მწვრთნელი თუ კაპიტანი ისე არხეინად დგას მტვერსა და ბუღში, გეგონებათ სპორტულ მოედანზე მოთამაშეებს ათვალიერებსო.

მაშინ რა აპირობებს ამ ადამიანებს უსულგულობასა და გულგრილობას? საგანგებო სენი: არ აკეთონ ის, რაც ევალებათ, არ შეასრულონ ფუნქცია, რომელიც აკისრიათ! ისევ კითხვა: რამ წარმოშვა ეს ყრუ, პასიური პროტესტი? ადამიანთა ინდივიდუალური ინტერესისა და მისწრაფებების უგულებელყოფამ!

„ცისფერი მთების“ რედაქციაში რედაქტორები არ კითხულობენ ხელნაწერს. სამაგიეროდ ზურგზე კიბემოკიდებული მუშა ჩასჩიჩინებს და ჩაპკრკრიტებს მას. იგი, როგორც კი დროს იშოვის, მაშინვე კითხვას შეუდგება, მაგრამ რა აზრი და მნიშვნელობა აქვს ამას? იგი მუშაა და არავინ ეკითხება, ღირებულია თუ არა ხელნაწერი.

პროტეკციით მარკმაიდერი რედაქციაში გამოუზავნეს „სამუშაოდ“, რაკი მისმა მფარველმა აქ იპოვა „თავისუფალი ადგილი“. მთავარია, რომ იგი „მოაწყვეს“, საჭიროა თუ არა ამ ადგილზე, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მართალია, მარკმაიდერს აინტერესებს, რატომ იბზარება შენობის კედელი, რა არყევს იატაკს თუ ჭერს, მაგრამ რედაქციაში ვინ მიაქცევს ყურადღებას მის ნახსნებს, გაანგარიშებებს?

შემოხვევით ნაგაზში ამოსული ვაზის მოვლა-პატრონობა უფრო აღელვებს დირექტორის მოადგილეს, ვიდრე რედაქციის შენობის ბედი.

ადამიანი, რომელსაც ერთი მისწრაფება აქვს, მაგრამ სხვა ფუნქციის შესრულება დაეკისრა, გვრცელებული ტიპი შეიქმნა. აღმოჩნდა, რომ ეს არ არის ცალკეული შეცდომების შედეგი, იგი უკვე საზოგადოების თვისებად ჩამოყალიბდა.

„ცისფერ მთებში“ სრული აბსურდია გაბატონებული. აბსურდის, უაზრობის კანონზომიერება კი ნგრევაა. (აქ რ. ჭეიშვილისა და ე. შენგელაიას ფილმი ხელს უწვდის ფ. ფელინის კინოსურათს „ორკესტრის რეპეტიციას“. იქაც ჰარმონიის რღვევა იწვევს ნგრევას). ნგრევამ თითქოს არ უნდა შეგვაშინოს. შენდება ახალი. მაგრამ აბუს კი მნიშვნელობა ძველის დაწვრილას და ახლის აშენებას, თუ არ შეიცვლება თვისება? ეს ადამიანები ხომ თავიანთი თვისებებითურთ ჯადაღიან ახალში? მართლაც ასეა: ახალ შენობაშიც ვვესმის ძველი უაზრო ლაპა: — ჩამოხსენი ხურათი!..“ — „არ ჩამოვხსნი!..“

ყოველივეგარი განასლება, წინსწოლა, პროგრესი დამოკიდებულია თვისების შეცვლაზე. უყველესი სიბრძნე — „შეიცან თავი შენ“ — ნიშნავდა საკუთარი თვისების ამოცნობას, გაეცნობიერებას, შეგვლას უკეთესისაკენ. თუ ეს არ მოხდება, ადამა სვლასა და მექანიკურ ცვლილებებს შედეგი არ მოაქვს. რ. ჭეიშვილი და ე. შენგელაია არ დგანან მომწოდებლის პოზაში. ისინი აჩვენებენ ხურათს, მდგომარეობას. აზრი ჩვენ უნდა ამოვიცნოთ! მოწოდებაც ჩვენი საქმეა! ადამიანთა თვისება განაპირობებს საზოგადოების თვისებას, ამიტომ უნდა შეიცვალოს იგი!

ჩვენ ვიცით ამაო და უაზრო შრომით გამოწვეული ტანჯვის მითი — სიზიფი.

ჩვენ ვიცით მიუწვდომელი, აუსრულებელი სურვილით გამოწვეული ტანჯვის მითი — ტანტალოსი.

იქმნება ახალი მითი: ადამიანის ინდივიდუალური ინტერესისა და მისწრაფების უგულებელყოფით გამოწვეული ტანჯვის მითი, გამოხატული სრული აბათილი, რომელიც მეფობს „ცისფერ მთებში“ ნაჩვენებ დაწესებულებებში. მას ჩვენმა დრომ უნდა უმკურნალოს!

რ ე ჟ ი ს ს ი ნ ო ფ ა ს ი: ქართული კინოსტუდიის ახალმა ნაწარმოებმა — „ცისფერ მთებმა“ — კიევის მე-17 საკავშირო კინოფესტივალზე, მხატვრულ ფილმებს მორის, მოიკავი პრიზი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ „ცისფერ მთებს“ მიეკუთვნა აგრეთვე ეურნალ „კროკოდილის“ მიერ დაწესებული პრიზი საუკეთესო სატირული კინონაწარმოებისათვის.

ფილმის რეჟისორი ელდარ შენგელაია, ოპერატორი ლევან კაკაბაშვილი და სცენარის ავტორი რეზო ჭეიშვილი

ააკაკი ბაძრაძე

გზათა უკან

ანუ ტყუილად დროს

წანწალი,

კარგვა, ტანჯვა!..

კადრები ფილმიდან

რა გვიჩვენა დათვალიერებამ

იმ კომპლექსურ ღონისძიებათა შორის, რომელთაც სახელმწიფო ავტოინსპექცია ანსორ-ციელებს საავტომობილო გზებსა და ქუჩებში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად, ტრანსპორ-ტისა და უფსო მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერებას ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი ადგილი უკავია. აშკარად იგი ჩვენს რესპუბლიკაში 15 აპრილს დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

რესპუბლიკის მასშტაბით დათვალიერების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მეტნაკლებად ორგანიზებულად განხორციელდა, მაგრამ დათვალიერებამ ისიც დაგვანახვა, რომ ჯერ კიდევ არსებობს მრავალი ხელშემშლელი ფაქტორი, რომელთა მოგვარება უეჭველად უკე-თეს შედეგს მოგვცემდა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც მაღალ-ხარისხოვნად შესრულდა დათვალიერების მოსამზადებელი სამუშაოები, სადაც მოძრაობის უსა-ფრთხოების უზრუნველყოფის ადგილობრივი კომისიები, შინაგან საქმეთა საქალაქო თუ რაიო-ნული განყოფილებები, სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურები გულისყურით და მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დათვალიერების მომზადებასა და ჩატარებას, შედეგიც სასურვე-ლი გამოდგა. დავასახელოთ კონკრეტული ფაქტები; დათვალიერების პერიოდში, საერთოდ, არც ერთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა არ მომხდარა და, ბუნებრივია, ადამიანთა მსხვერპლი და დაშავება არ აღნიშნულა თიანეთის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ზუგდიდის, დუშეთის, ბოგდა-ნოვკისა და ადიგენის რაიონებში. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ყველა ძირითადი მაჩ-ვენებლის კლება აქვთ მცხეთის, ონის, ქარელის, თელავის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, ახალციხის რაიონებს, ქუთაისისა და გარდაბნის მოტომექანიზებულ ოცეულებს. მაგრამ აქვე გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ყველას ერთნაირი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ ამ მეტად სერიოზულ საქმეს. ბევრ რეგიონში ინერტულობას იჩენდნენ დათვალიერების პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების საქმეში.

შესაძლოა, სწორედ ამის ბრალი იყო, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებ-ზე, აბაშის, ახალქალაქის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, წულუკიძის რაიონებში, რუსთავი-გორში და რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში დათვალიერების პერიოდში იმატა საგ-ზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვმა, მათ შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ ადამიან-თა რაოდენობამ.

დასანანია აგრეთვე ის, რომ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საგზაო-სატრანს-პორტო შემთხვევათა მაჩვენებლების მატება აღირიცხა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. დათ-ვალიერების პერიოდში თბილისში მოხდა 71 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის შედეგად გარდაიცვალა 12 და მძიმედ დაშავდა 72 ადამიანი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შე-დარებით მოხდა 13 შემთხვევით მეტი, 8 ერთეულით გაიზარდა გარდაცვლილ ადამიანთა რაო-დენობა.

ღონისძიების პერიოდში სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა რესპუბლიკის მასშტაბით გამოავლინეს საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი 68 ათასზე მეტი მძღოლი, რომელთაგან 1789 მოვრალი მართავდა ავტომანქანის საჭეს, წესების ნებისმიერი დარღვევა საბოლოო ანგა-რიშით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაა, რაც ადამიანთა მსხვერპლს და დასახიჩრებას იწვევს.

24 აპრილს ყვარლის რაიონის სოფელ საბუაში „საქსახელმოფლტექნიკის“ ყვარლის განყო-ფილების კუთვნილი „ZIL-4502“ (სახ. № 79-21 გგს) მარკის სატვირთო თვითმცლელი ავტომან-ქანა, რომელსაც გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა მძღოლი ნ. ტუფენძე, გზის მოსახვევში გადაბრუნდა. შემთხვევის შედეგად მძღოლი და მის გვერდით მჯდომი სამი (!) მგზავრი შემთხ-ვევის ადგილზევე გარდაიცვალნენ.

უყურადღებობა გამოიჩინა 21 აპრილს წყალტუბოს რაიონის სოფელ ჟონეთის კოლმეურნე-ობის კუთვნილი „ZIL-3503“ (სახ. №63-81 ZZZ) ავტომანქანით მოძრაობისას მძღოლმა თ. ჯანე-ლიძემ. სოფელ საკარესთან ავტომანქანა გადავიდა გზის საკალი ნაწილის მარცხენა მხარეზე და მდინარე რიონში გადავარდა. მძღოლი და მის კაბინაში მჯდომი ორი მგზავრი გარდაიც-ვალნენ.

15 აპრილს ავტომანქანა „ეიგული“, რომელსაც გადაჭარბებული სიჩქარით მიაქროლებდა საქ. სსრ შშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის მე-4 სამმართველოს ოსტატი გ. მეტრეველი, სოფელ ნატახტართან დაეჯახა მოქალაქეს, რომელიც გზაზე გადასრბოდა. დაჯახების შედეგად იგი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

16 აპრილს ქ. რუსთავის სატრანსპორტო გაერთიანების სამგზავრო ავტოსატრანს-პორტო საწარმოს კუთვნილი „იკარუს-260“ მარკის (სახ. № 66-69 ვამ) ავტობუსი, რომელსაც მძღოლი ი. მორეულაძე მართავდა, შეგობრობის პროსპექტზე დაეჯახა ბიჭს ამ მონაკვეთზე გადამავალ მოქალაქეს, სადაც უფსო მოსიარულთა მოძრაობა დაუშვებელია. იგი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

23 აპრილს მთავრალი მართავდა საკუთარ „ეიგულს“ სადგურ ლილოს მეკუჯნეველ კ. სარქა-სოვი. ნოეტოროსიის-ბიბლის-ბაქოს საავტომობილო გზის 892-ე კილომეტრზე კ. რესთაველის მასლობლად, გონებაარეულმა მძღოლმა ველარ დაიმორჩილა დიდი სიხშირეფილი მოძრავი ავტო-მანქანის საჭე და გაჩერებულ ავტობუსს დაეჯახა. დაჯახების შედეგად კ. სარქასოვი, ორი მგზავ-რი მძღოლი და ერთი მგზავრი ძმიმედ დაშავდნენ და საავადმყოფოში მოათავსეს.

მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლებოდა.

ყველაზე დასანანი ის არის, რომ სულ ადგილად შეიძლებოდა ამ საშინელი ტრაგედიების თავიდან აცილება, მძღოლებს და უფსო მოსიარულეებს რომ დაეცვათ საგზაო მოძრაობის წესე-ბის მოთხოვნები. უდისციპლინობა საავტომობილო გზებზე მეტად ძვირად უჯდება საზოგადო-ებას ეკონომიკური და, რაც მთავარია, მორალური თვალსაზრისით. სამწუხარო და გულსატკივნი კიდევ ის არის, რომ ამ ტრაგედიების, საყოველთაო გაფრთხილებისა და შეგონების მიუხედავად არ წყდება ჩვენს გზებზე საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ და მთავრალ მძღოლთა თარეში. მაგალითად, მარტო დათვალიერების პერიოდში სახავტოინსპექციის მუშაკებმა გამოავლინეს 16 ათასამდე მძღოლი, რომლებიც გადაჭარბებული სიჩქარით მართავდნენ ავტომანქანას, 2 ათასამდე მძღოლს კი ხანგრძლივი ვადით ჩამოერთვა მართვის უფლება მთავრალ მდგომარეობაში ავტო-მანქანის მართვისათვის.

ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, რესპუბლიკის ავტომეურნეობებში გარკვეული წეს-რიგი დამყარდა, მაგრამ ყველგან ასე როდია. ბევრ ავტოსატრანსპორტო საწარმოში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და სხვა უხეშ დარღვევებს. ეს სავსებით დაადას-ტურა ჩატარებულმა დათვალიერებამაც. მაგალითად, მარტო ქალაქ თბილისში ავტოინსპექციის მიერ შემოწმებულ 25 სატრანსპორტო ორგანიზაციაში არსებულ ტექნიკურ უწესივრობათა ვამო ჰკრძალა 532 ავტომანქანის ექსპლუატაცია.

სახელმწიფო ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევები გამოვლინდა თერჯო-ლი რაიონში; ავტოინსპექციის მუშაკებმა სახ. ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების უხეშ დარღვევათა 14 ფაქტი გამოაელინეს თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის ავტოსატრანს-პორტო საწარმოში, რუფოთის ავტომეურნეობაში — 4, თერჯოლის ავტოსატრანსპორტო საწარ-მოში — 14.

აჯარის ასსრ-ში სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების მიერ 24-ჯერ შემოწმდა სხვადა-სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციებში ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა ხაზზე გა-ვლის წინ. ამ მხრივ დამრღვევები გამოვლინდა ბათუმის მსუბუქი ტაქსომოტორების პარკში, № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოში, № 2659 ავტოკოლონაში, შუახევისა და „აჯარკოოპკავშირის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა ისიც, რომ შუახევის ავტოსატრანსპორტო საწარმოს 4 მძღოლს სახელმწიფო ავტომანქანა ღამით გარაჟში არ ჰყავდა გაჩერებული; ღამით საცხოვრე-ბელ სახლთან ეყენა სახელმწიფო ავტომანქანები აგრეთვე საქართველოს სსრ სპეცსამშენებლო ტრესტის № 28 მოძრავი მექანიზებული კოლონის 6 მძღოლს. აღსანიშნავია, რომ აჯარის ასსრ სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროთა სისტემაში არსებითად არაფერი გაკეთე-ბულა მოძრაობის უსაფრთხოების საგაზაფხულო დათვალიერების ხაზით. არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია აგრეთვე აჯარის ასსრ ავტომოტომოფაყვარულთა ნებაყოფლობით საზოგადოებასაც და ეს მაშინ, როცა საზოგადოებრივ ფორმირებათა როლი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განუზომელად დიდი,

დათვალიერების პერიოდში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები მომრავლდა რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნა-ლური მეურნეობის, კულტურის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა სისტემაში არსებულ სატრანსპორტო ორგანიზაციებში. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ შესაბამის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელებს არ უზრუნეიათ მოეწყოთ მძღოლთა შორის ასსრ-განმარტებითი საუბრები, კრებები, თითოეული მძღოლისათვის გაეგნოთ მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერ-ების მნიშვნელობა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხარვეზებმა და ნაკლოვანებებმა განსაზღვრეს ის, რომ დათვალიერების პერიოდში მოხდა 236 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის შედე-გადაც გარდაიცვალა 62 და დაშავდა 267 ადამიანი.

საგაზაფხულო დათვალიერებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღკვეთისათვის საჭიროა ყოველდღიური, გამუდმებული ზრუნვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ დ ო ბ ა

ნდობა ა დ ა მ ი ა ნ ი ს საუკეთესო ღირსებაა. და აბა, ცუდი რა გვეთქმის მოქალაქე კოირუნ პარონიანზე, რომელმაც ახალქალაქის რაიონის სოფელ მაჯადიას კოლმეურნეს სამველ პარონიანს საკუთარი „ჟიგული", რომლის სახელმწიფო ნომერია 39-69-გაჩ, ანდო, მინდობილობაც სათანადოდ გაფორმდა. რა იცოდა კ. პარონიანმა, რომ ყველა როდია ნდობის ღირსი. ამ ჭეშმარიტებაში იგი 22 მარტს დარწმუნდა, როცა ნდობით აღჭურვილმა სამველმა ახალქალაქ-ბოგდანოვკის საავტომობილო გზაზე მინდობილი ავტომანქანა ისეთი სისწრაფით გააქანა, რომ საჭე ვეღარ დაიმორჩილა, გადავიდა სავალი ნაწილის წარცხენა მხარეს და შემხვედრ „ჟიგულს" დაეჯახა. ავტომანქანის 3 მგზავრი მძიმედ დაშავდა.

სურათებზე ნათლად ჩანს, თუ როგორ გაამართლა სამველ პარონიანმა კოირუნ პარონიანის ნდობა.

ა. გორდეზიანი

სურათზე აღბეჭდილი ავტომანქანა (№89-43 გგდ) გორის რაისაავტომყოფოს ეკუთვნის. ჰოდა, სწორედ ამ ავტომანქანით იმყოფებოდა 30 მარტს ქარელში მასზე გაპიროვნებული მძღოლი გიორგი გეორქოვი. ალბათ ძალზე სასწრაფო და გადაუდებელი საქმე ელოდებოდა, თორემ გადაჭარბებული სიჩქარით არ აჭრიდებდა ტრანსპორტს. წესების დარღვევის შედეგმა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე იჩინა თავი; გ. გეორქოვმა ვეღარ შეძლო კინეტიკური ენერგიის დამორჩილება და ავტომანქანით ფეხით მოსიარულეს შეეჯახა. მოქალაქე მძიმედ დაშავდა. გ. გეორქოვმა იფიქრა: მართალია, საავტომყოფოში ვმუშაობ, მაგრამ ექიმი არ ვარ და, აქედან გამომდინარე, არც ჰიპოკრატეს ფიცისა მესმის რაო, და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, დაშავებულს დახმარება არ აღმოუჩინა. დიდხანს სად დაიმალებოდა?! მონახეს და ამხილეს.

უხეირო მძღოლი უხეირო კაციც გამოდგა.

მ. კილურაძე



— ბევრი მამაკაცი დამდევნებია, მაგრამ ასე თავგამოდებული ჯერ არ შემხვედრია!

(„არენა“. იუგოსლავია)

უსაფრთხოების ღვედები

ჩემს წინ გაშლილხარ, თბილისო,
როგორც ზღაპრული ედემი!
შენ რომ აღგიქვა, ხელს მიშლი:
უსაფრთხოების ღვედები!..
ოთხივე კუთხით იზრდები,
დღითიდღე მშვენიერდები!
რა გიჭირს, შენ არ გჭირდება
უსაფრთხოების ღვედები!..
მეც შენს ქუჩებში ვსრიალებ
სულის ამგვარი კვეთებით! —
ხან მიკეთია, ხან არა
უსაფრთხოების ღვედები!..

ხან კაცი ქალთან თამაშობ, —
ყარამან ყანთელს ედრები, —
გისტვენენ: არ გიჭერია
უსაფრთხოების ღვედები!
სულაც არ მინდა მწვანე გზა
ვინმესგან დანაყვედრები!
ან გავიკეთოთ, ან მოვხსნათ
უსაფრთხოების ღვედები! —
რომ ყველა თავის ნებაზე,
საკუთარ შემოქმედებით,
არ გვაჩერებდეს მიზეზით
უსაფრთხოების ღვედების!

ჯემალ ინჯია

ვაი, ასეთ ასიანებს!..

გაუმარჯოს კასიანეს,
თეთრ „ვოლგას“ რომ ასრიალებს...
ასრიალებს, ასრიალებს,
შერე ითვლის ასიანებს...
მოაქროლებს, მოაქროლებს
ფულიანებს, შანსიანებს,
რა ვუყოთ, რომ ზოგჯერ მგზავრებს
ამტვრევს, ამსხვრევს, აზიანებს...
თუ დასჭირდა შემთხვევისთვის,
თავსაც მოიავზნიანებს...
ღმერთმა ხელი მოუმართოს
ჭკვიანებს და საზრიანებს...
გაუმარჯოს კასიანეს,
წინ რომ უსწრებს ნავსიანებს...
აქეთ საჭეს ატრიალებს,
იქით ხარკეს ჩასცქრიალებს,
ჩასცქრიალებს, ჩასცქრიალებს,
შიგ თვალს უკრავს შავთმიანებს...
თანაც ფიქრობს: ვაი, მის დღეს,
ვინც მომაკლებს ამ სიამეს!

ო, ეს ფიქრი რად დასჩემდა,
ასჯერ ცხენაზიარებს?
ინსპექტორებს რომ დალანდავს,
ტანში აცივ-აჟრიალებს...
სალამო ხანს „სალხინოში“
ცლის ხან ყანწებს, ხან ფიალებს,
ნაბახუსევ-ნამთვრალევი
ისევ ეძებს სარფიანებს....
ჰოდა, მგზავრებს ასიანებს
რა დაულევს კასიანეს,
ხალხით, მგზავრით დატვირთული
ქალაქგარეთ დასრიალებს,
მაგრამ ვაი, კასიანეს,
ისევ ცხენს აზიარეს...
აქ, შემთხვევით გადარჩენილ
მგზავრებს აცივ-აჟრიალებს...

ეთერ სამხარაძე

ნახ. ი. უჟინაშვილისა



უსიტყვოდ

შემთხვევა ფექმომსახურების სადგურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ამბობს, რომ სხვა ქალაქებში შესანიშნავი სერვისიაო. შეუხვევ, მაგალითად, ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურში, გამოხოხდები მანქანიდან და ეუბნები:

— სალამი. — რაც გულისსმობს, მომ_ხედეთო.

მაშინვე გაგირეცხავენ მანქანას, საწვავით გაავსებენ, რომელიმე ნაწილს შეუცვლიან, შენ კი ამ დროს ტომატის წვენს სვამ. აი მესმის ცხოვრება!

ჩვენს ქალაქშიც არა უშავს რა ავტოსერვისს. თუ იღბალი გაქვს, გარემონტებასაც შეძლებ.

ერთხელაც ავდექი და წავედი ტექმომსახურების სადგურში. მანქანის ხმა არ მომწონდა, ტრაქტორივით ტრახტრახებდა. მივადექი კარს, არ შემიშვეს. ერთი თავხედი დედაბერი დგას ჭიშკართან.

— ჯერ უნდა გარეცხოთ ეგ თქვენი ბუდრუანა, თორემ ასეთი მოთხუპნილი სიფათით სად მოიწევ ჩვენს მაღალი კულტურის საწარმოში.

კბილები გავაკრაჭუნე და სამრეცხაოსკენ წავედი. იქ კი რიგი სამი კვარტალის სიგრძეზეა გაჭიმული, ვინ ბანქოს უბერავს, ვინ დომინოთი ერთობა. მომწყინდა.

ანაზდად ერთი მთვრალი ჩანჩურა კაცი მომიახლოვდა, ცხადია, ხელში ვედროთი.

— თუმნიანი გამოუშვი და სამრეცხაოზე უკეთესად გაგირეცხავ, თანაც რიგგარეშ!.

მეტი რა ჩარა იყო. ერთხელაც გავაკრაჭუნე კბილები და მივეცი. როგორც იქნა, გამირეცხა. კვლავ სადგურში დავბრუნდი. ბებერმა კუდიანმა ცალი თვალით გამოხედა ჩემს შანქანას და რაკი დაინახა, რომ სვფლი იყო, შევებრალე და შემიშვა.

გამოდის ერთი ბიძა, თეთრი პერანგი აცვია და ჰალსტუხიც კი უკეთია.

— მიაყენე, პაპილო, შენი კალოში აი, იქით და ერთი სამი თვის შემდეგ შემოგვიარე.

მე, ბუნებრივია, ყვირილი ავტეხე, საჩივრის წიგნიც ვახსენე. მაგრამ კაცმა ყურიც არ შეიბერტყა.

— იმ საჩივრის წიგნს რომ ჩაგათათახებ თვალებშუა, — მეუბნება, — რა ხასიათზე დადგები, იმასაც ვნახავ.

მე, რა თქმა უნდა, უკან დავიხიე.

— გადავიხდი, — ვეუბნები, — რამდენიც საჭიროა.

— ეს უკვე სხვა ლაპარაკია, — დამეთანხმა იგი და თავის ხელმარჯვე ძმაკაცს გაუსტვინა.

ეცნენ ისინი ჩემს მანქანას და სულ ჭრიალი აუყენეს. მაგრამ ვამჩნევ, რომ იმას არ აკეთებენ, რაც საჭიროა.

— საით! — ვუყვირი, — ხრახნს საით ატრიალებ!

— შენ, პაპილო, ნუ ღელავ, სიმაგრეს ვამოწმებ.

— გასინჯე, მაგრამ სამი ხრახნი რატომ აკლია?

— აჰ, ბოდიში, — მეუბნება, — შემთხვევით ჯიბეში ჩამცვენია.

— დადე ადგილზე! — ვუყვირი.

მეორემ ამ დროს კარბიუტატორი წაიღო.

— საით, შე მამაძაღლო?!

— უნდა ჩავბერო, გავანიავო.

— აქვე გაანიავე, ადგილზე, განა არ ვიცი, თვალსა და ხელს შუა ძველით შემიცვლი!

ისინი კი აძრობდნენ და აძრობდნენ, მიჰქონდათ და მიჰქონდათ, მე სულ გავლურჯდი სიბრაზისაგან, მეგონა, ინფარქტს ვერ გადავურჩები-მეთქი.

— მილიცია! — დავიყვირე, — მილიცია!

ზრდილობიანი მილიციელი გამომეცხადა.

— რაშია საქმე, მოქალაქევ!

— გეთაყვა, — ვეუბნები, — გამოგიტყდები, მანქანა არაშრომითი შემოსავლით ვიყიდე, მშრომელებს მინის ტარის მიღებაზე ვემსახურებოდი. ჩამსვი, მაგრამ პირველ რიგში ეს ქვეწარმავლები ჩაყარე. აბა შეხედე რა გააფთრებით გლეჯენ და იტაცებენ ნაწილებს, თითქოს წარღვნა მოდიოდეს.

ისე რომ, დავდიოვარ ახლა, მოქალაქენო, ფეხით და სამი კილომეტრით ვუვლი გვერდს იმ წყეულ ტექმომსახურების სადგურს.

(ჟურნალი „ქროკოდილი“
თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა

რ ჩ ე ვ ა

ამ შუქნიშნების სიმრავლემ
ბევრჯერ მაჩვენა კირთება...
გვერდზე გახედვას ვერ ვასწრებ.
რომ კვლავ წითელი ინთება.
წინ, მაღლა, გვერდზე...

სუყველგან
გზებზე ჰკიდია ფარანი.
ამდენი შუქთა ციმციმი
ღამით ცაშიაც არ არის.

თვალები მონტიორივით
სულ მაღლა-მაღლა მიჭირავს,
თუმც შუქნიშნები, ამ ბოლოს,
ვის ჭირად უჩანს, ვის — ჩირად.
საგზაო ნიშნის არცოდნამ
მრავალჯერ ამაჭრიჭინა!
ვიცი, წითელი სხვისია,
მწვანე ჩემია, ნამდვილად!
მაგრამ ვისია ყვითელი,
ვერ დავადგინე ადვილად.

მითხრეს, ყვითელი ნიშნავსო
ადგილის დაცლას სასწრაფოდ.
რამდენჯერ სწრაფად წავედი...
თავზე დამადგა „სასწრაფო“.
მოკლედ, მე ყვითელს აღარ
ვნდობ, —
თქვენ შემოგჩივით ვედრებით:
ყვითელზე სხვებმა იარეთ,
მამრები ხართ თუ მდედრები,
რაც ვიცი, იმას ვაკეთებ,
ვერც შტერს დამარქმევთ,
ვერც — დებილს,
მწვანე შუქია? მივდივარ,
წითელია და — ვჩერდები.
ყველამ რომ ასე იცოდეს
მოვალეობა თავისი —
კარგი გვექნება ქუჩებში
მოძრაობაც და ხალისიც.

არგაბედო გაბედავა

ნახ. მ. აბაშიძისა

ნახ. ვ. კუციასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთობის შედეგი

ეს კისერმოტეხილი და ქედმოხრილი ავტომანქანა „კამაზ — 5410“ (77-31 გგს) მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „ალაზანმშენის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ეკუთვნის. ავტომანქანაზე მძღოლად მუშაობდა თელავის რაიონის სოფელ ართანაში მცხოვრები ვლადიმერ დავითის ძე ამირეჯიბი. 29 თებერვლამდე ამირეჯიბიც საღ-სალამათი იყო და ავტომანქანაც, მაგრამ მომდინარე წლის აღნიშნულ დღეს ალკოჰოლური სასმელებით გაჟღენთილი მიუჯდა საჭეს და სოფელ ართანიდან თელავის მიმართულებით გადაჭარბებული სიჩქარით გაქროლა ავტომანქანა. 22 საათსა და 30 წუთზე თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის 68-ე კილომეტრზე ღვინით გაბრუებულმა ვლადიმერ ამირეჯიბმა ვეღარ დაიმორჩილა საჭე და ავტომანქანა გზის სავალ ნაწილზე დაყრილ ქვიშის გროვებს შეეჯახა. მძღოლმა კისერი მოიტეხა და ავტომანქანასაც მოსტეხა კისერი.

მძღოლი ვლადიმერ ამირეჯიბი შერყეული ჯანმრთელობის აღსადგენად მოათავსეს თელავის რაისაავადმყოფოში, ხოლო ავტომანქანა — სარემონტო საამქროში.

აღნიშნული შემთხვევა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „ალაზანმშენის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოში სათანადო დონეზე არ დგას საწარმოო და შრომის დისციპლინა. თუ ამ მოსაზრებას ვინმე არ დაეთანხმა, მაშინ გვიპასუხოს, რატომ ჰყავდა მძღოლს 29 თებერვალს სამუშაო საათების შემდეგ სახლში გაჩერებული სახელმწიფო ავტომანქანა.

ჩვენ კი სავსებით დარწმუნებული ვართ, სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ მძღოლი მთვრალი მიუჯდა სახელმწიფო ავტომანქანის საჭეს.

ა. ნ.

გზა გადავუკეტოთ საშიში სენის გავრცელებას!

დიდი და საპატიო მოვალეობის შესრულება უხდებათ სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღკვეთა-აცილების გარდა ისინი აქტიურად იბრძვიან სხვადასხვა საშიში დანაშაულების წინააღმდეგ.

დღეს, როდესაც საავტომობილო ტრანსპორტი ასე შემოიჭრა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მას თავიანთი ბნელი ზრახვების შესასრულებლად ბოროტმოქმედნიც იყენებენ. ამიტომ სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებს დიდი სიფხიზლე, საზრიანობა და სიმამაცე მართებთ დანაშაულის გამოსავლენად და აღსაკვეთად.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი ბოროტებაა ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელება და ხმარება, რა დიდ საფრთხეს წარმოადგენს იგი საზოგადოებისათვის.

გასული წლის დეკემბერში და 1984 წლის იანვარში სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა დააკავეს სხვადასხვა ავტომანქანები, რომელთა მძღოლებს დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერება გადაჰქონდათ. ყველა დამნაშავე სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.

აღნიშნულ დანაშაულებათა გამოვლენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებმა: მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა თენგიზ ოშაყმაშვილმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ელგუჯა ხერხაძემ, მილიციის ლეიტენანტმა გურამ ხასიამ, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ზაურ მარშანიშვილმა, უმცროსმა სერჟანტებმა ბიჭიკო ჭეიშვილმა და ტრისტან ალფაიძემ, უმცროსმა სერჟანტმა გულთაზ თელიამ, მილიციის რიგითმა თენგიზ ბიბილურიძემ და სხვებმა, რომელნიც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დაჯილდოვდნენ.

რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები კვლავაც ფხიზლად იქნებიან, რომ დროულად გამოავლინონ და აღკვეთონ ყოველგვარი დანაშაული და მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელება.

ა. ნოზაძე

ნახ. ზ. ფირცხიძისა

— მაინც ვისზე გაქვთ ეჭვი, ვინ გაიტაცებდა ავტომანქანას?

— სიდედრი, ცოლისდა, ვაჟიშვილი ან ქალიშვილი, მათ არ ვსვამ მანქანაში!



ნახ. გ. ლომიძისა

— დედამ კი დამარიგა, მწვანე შუქი რომ აინთება, მაშინ გადადიო, მაგრამ როგორ გადავიდე?

შესაძლოა თუ არა იდეალური „მწვანე ტალღა"?

იდეალური „მ წ ვ ა ნ ე ტალღა", ე. ი. საგზაო მოძრაობის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც ავტომობილი შეუჩერებლად გაივლის ყველა გზაჯვარედინს შუქნიშნების წინ, არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნიათ ავსტრიელ ინჟინრებს, რომლებიც ამ პრობლემაზე მუშაობენ. პირველად „მწვანე ტალღის" შემოღება სცადეს ბერლინში 1825 წელს პოტსდამერპლაცზე. იგი წარუმატებლად დამთავრდა. მაშინ მას ბერლინის ერთ-ერთმა გაზეთმა „წითელ-ყვითელ-მწვანე ქაოსი" უწოდა.

საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია დღეისათვის რთული მეცნიერებაა, მის კანონებს რომ ჩასწვდეს, ყველა სამეცნიერო დისციპლინას რომ დაეუფლოს, ადამიანს 300 წელი დასჭირდებოდა. მთელი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მანძილი გზაჯვარედინებს შორის არასოდეს იქნება თანაბარი, ხოლო ავტომანქანის სიჩქარე, მიუხედავად იმისა, რომ ვენაში საათში 50 კილომეტრია დაშვებული, ყოველთვის იხრება იდეალურიდან.

ვენელი ინჟინერი გიუნტერ ერტლი აი უკვე 22 წელია „მწვანე ტალღის" პრობლემაზე მუშაობს. ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაცია დიდ ქალაქში ეს ყოველთვის კომპრომისია, განაცხადა მან. ქუჩაში, სადაც ცალმხრივი მოძრაობაა, ავტომობილისტს, რომელიც შეჩერებას აპირებს, შეუძლია შექმნას „საცობი" 75 მეტრის სიგრძეზე, ხოლო ყველაზე „წყნარი" არარეგულირებული გზაჯვარედინი მოიცავს 52 „რისკის ფაქტორს".

„პრესე" (ვენა)

თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე გასაღები

გერასიმეს გაქურდვის ამბავი უბანს ელვის სისწრაფით მოედო — დაკეტილი გარაჟიდან ახალთახალი „ვოლგა“ გაეტაცათ!..

— ამ საქმეში ნაღდად ეშმაკის ხელი ურევია! — მალიმალ ოხრავდა დაზარალებული.

მძარცველის ხელწერა მართლაც იძლეოდა ამის საბაბს: გარაჟის კარის ძალადობის ნიშანი არ ეტყობოდა, გერასიმემ თვითონ გააღო კარი, მაგრამ ქურდობის უტყუარი ფაქტი აშკარად ჩანდა — გარაჟში მანქანა არ იყო.

— მეორე გასაღები თუ გაქვთ შინ? — იკითხა ვიღაცამ.

გერასიმემ ორი ერთნაირი ზომის გასაღები უჩვენა მეზობლებს.

ეზოში უცებ თმებგაჯინჯილებული ბიჭი შემოვარდა, ჯერ ცაცას ჩაეკრა მკერდში, მერე — გერასიმეს.

— რა არ ვიფიქრე, ამდენი ხალხი რომ დავინახე! — ცრემლს ვერ იკავებდა იგი.

— კარგი, დამშვიდდი, ბონდო, შვილო! — ერთად დაუწყეს დაწყნარება მშობლებმა.

ბონდო უსიტყვოდ მიხვდა, რა უბედურებაც დატყდომოდათ თავს, გარაჟის კარს ბღავილით მივარდა და მუშტებით დაუწყო ცემა.

სწორედ ამ დროს ჭიშკარს მოადგნენ უბნის ინსპექტორი და გამომძიებელი. დაუპატიჟებელ სტუმრებს აშკარად ავი თვალით შეხედეს დაზარალებულებმა.

— ეჭვი თუ გაქვთ ვინმეზე? — იკითხა გამომძიებელმა.

— ქურდს და ოხერს რა გამოლევს ჩვენს უბანში?! — ისევ აწოოკდა გამწარებული ქალი.

— ასეთი ელემენტებისაგან დიდი ხანია გავწმინდე ქუჩა! — ბრალდება უარყო ინსპექტორმა.

— დააფარე, ჰო, დააფარე ხელი ნაციხარსა და ავაზაკს! — აღელდა გერასიმე.

გამომძიებელი მიხვდა, საითაც უმიზნებდნენ მასპინძლები და გულისყური უფრო დაძაბა.

— მანქანა რომ შევიძინე, — გაიხსენა ოჯახის უფროსმა, — ოსიკომაც მომილოცა და უმალ გარაჟის კარზე დაკიდებულ ბოქლომს დაუწყო ფარულად კირკიტი.

— თქვენი თვალით დაინახეთ?! — კვალში ჩაუდგა გამომძიებელი.

— ჩემმა ბონდომ გვითხრა, ასე იყოო! — დაასწრო ცოლმა ქმარს, — შემდეგ ის ბოქლომი გავაუქმეთ, ჩემმა ბიჭმა რაიონიდან მოიტანა ახალი, უფრო საიმედო.

გამომძიებელმა ის საიმედო ბოქლომი გაზეთში შეახვია და პორტფელში ჩაიდო.

ერთი კვირაც არ იყო გასული, ბონდოს ვიღაც საეჭვოდ ჩაცმულმა ბიჭმა რომ შინ მოაკითხა და მანქანაში ჩაისვა. სტუმარი რომ წავიდა, გერასიმე ჭიშკართან ჩაეგება ფიქრებში დაყურსულ ვაჟს.

— მანქანის დაბრუნების შემთხვევაში ათი ათას მანეთს თხოულობენ! — მკვახედ განუმარტა შვილმა.

— აა?! — გაშრა კაცი.

— მე კი ყელის გამოჭრით მიმუქრებიან, თუ მახეს დავუგებთ!

— ცეცხლზე ნავთი გადაასხა ბონდომ.

— კარგი, კარგი, მივაშავოთ, სხვა რა გზაა?! — დანებდა ბედისწერას გერასიმე.

უმალ მოტოციკლეტის მხიარულმა ჭიხვინმა მამა-შვილი ადგილზე გააქვავა.

— სამაღარიჩო მეკუთვნის! მგონი, აღმოვაჩინე თქვენი „ვოლგა“! ნომრები აუხსნიათ იმ ავაზაკებს! — მხიარულად უთხრა ინსპექტორმა, — წამოდით, შეამოწმეთ!

— გაჰყევი, შვილო! თუ გაგვიმართლა, ერთი კაი პური ვაჭამოთ ამ პატიოსან კაცს! — გერასიმეს გულში შეუღიტინა ფულის გადარჩენის იმედმა.

ის დღე ისე დაალამა და გაათენა, თვალი წამით არ მოუხუჭავს. დილით, მზე რომ კარგად ამოიწვერა, შვილის საძებრად მილიციაში დაუპირა წასვლა, მაგრამ ამ დროს ეზოში ყორნისფერი „გაზ-24“ შემოგრიალდა. საჭესთან უბნის ინსპექტორი იჯდა.

— დამნაშავის ჯიბეში ამ ბოქლომის მესამე გასაღები უპოვნია! — აუხსნა ინსპექტორმა, და ბოქლომთან ერთად ასი გასაღები გადასცა.

გერასიმეს გაოცებისაგან სუნთქვა შეეკრა. ეჭვი უმალ რკინაკავეულის მაღაზიის მუშაკებზე მიიტანა.

— ბონდო სად არის?! — იკითხა ბოლოს, როცა სიხარული რამდენადმე გაუნელდა.

— საპატიმროში! — მოკლედ მოუჭრა ინსპექტორმა და წასვლა დაუპირა, — მალე სასამართლოს წინაშე წარდგება აზარტული თამაშისათვის და ათი ათასი მანეთის გამოძალვის მიზნით მანქანის ქურდობისათვის!

— გაგიჟდით?! — ერთბაშად მოეგო გონს გერასიმე, — სხვისი მანქანა ხომ არ მოუპარავს ან სხვას ხომ არ უპირებდა ფულის გამოძალვას?! ახლავე გაათავისუფლეთ! მე არ ვუჩივი!..

ალეკო გეგია



— ეს საჭესთან კი არა, სათამაშო ავტომობილზე უნდა დასვა!

ნახ. შ. ლეჟავასი

— სულ მაგ დღეში იქნები, სანამ მოძრაობის წესებს არ ისწავლი!

ჟურნალ „ნიანგისა“ და საქართველოს სსრ შსს სახელმწიფო ავტოინსპექციის სატირულ-იუმორისტული ბუკლეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია: გ. სიხარულიძე (რედაქტორის მოადგილე), ნ. მალაზონია (მხატვრული რედაქტორი), ვ. შადური (საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე), გ. შალამბერიძე (რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი), გ. ცინცაძე (რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე), ა. ბუხრაშვილი (რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსი), ა. ბიორბიძე (თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების უფროსი), მ. კუხალაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

მისამართი: 380008, თბილისი — 8, რუსთაველის პროსპექტი, 42. ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია (ტელ.: 99-55-54; 93-19-42); 38005, თბილისი — 5, ერეკლე მეორის მოედანი, 1. საქართველოს სსრ შსს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველო (ტელ.; 991-47-44; 991-40-44). საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის, 14. 1984 წ.

შეკვ. 1349 ტირ. 10 000

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნახ. შ. ლელაძისა

— ასეთი მცირეხელფასიანი სამსახურისთვის ამოდენა თანხის გაღება ღირს?

— ენაცვალოს მამა, სამაგიეროდ ორმაგად ამოიღებს მერე!

— არ გიჭირთ ერთდროულად სამ როლზე მუშაობა?

— მაგი არაფერია! ერთბაშად სამ ნათვლასა და ქორწილში რომ ვარ დაპატიჟებული, ის მწყვეტს წელში!

ხიმინჯები ელიან!

(ამბავი ერთი გაჭიანურებული მშენებლობისა)

ფელეტონი

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის „საქსაკოლმშენის“ გალის ხის დამმუშავებელ კომბინატში (ადრე ეს ობიექტი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ექვემდებარებოდა) ორი წლის წინათ დაწყებული მთავარი კორპუსის მშენებლობა შეჩერებულია იმის გამო, რომ **მარნეულის რკინაბეტონის ქარხანამ საწარმოს არ გაუგზავნა წინასწარ შეკვეთილი გადახურვის კონსტრუქციები, კერძოდ, 22 ცალი თვრამეტმეტრიანი ფერმა!..**

აღნიშნული მასალის ღირებულება — 14 589 მანეთი — კომბინატმა ჯერ კიდევ 1983 წლის ოქტომბერში გადარიცხა. სოლიდური თანხა ანგარიშში სიამოვნებით მიითვალეს, ხოლო საქონლის გაცემა რატომღაც სავალდებულოდ არ ჩათვალეს. რა საუცხოო მეთოდია ეკონომიკის მართვა-განმტკიცებისათვის — ორგანიზაციას ფული გადაახდევინო, მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობა კი არ მისცე!..

საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ამ ფაქტზე **სასოფლო მშენებლობის სამინისტროში? მარნეულის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ხელმძღვანელებს** კი, მართლაც რკინის გული თუ არა აქვთ და ოდნავი პასუხისმგებლობის გრძნობა, რად არ აწუხებთ ეს ამბავი?!

მათი მიზეზით ხომ რესპუბლიკას წლიურად დაახლოებით 2,5 მილიონი მანეთის ხე-ტყის დამუშავებული მასალა აკლდება?!

გალის ხის დამმუშავებელი კომბინატი ამარაგებს რესპუბლიკის საკოლმეურნეო მშენებლობის 63 ორგანიზაციას!

კომბინატის წარმადობა — 30 000 კუბური მეტრი — ახალი კორპუსის ამოქმედების შემდეგ ერთიორად გაიზრდება, საწარმო წლიურად ხუთი მილიონი მანეთის პროდუქციას მიაწვდის მომხმარებელს. ასაშენებელი ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 395 ათასი მანეთია. სამუშაოთა გაგრძელება და თანხების ათვისება შეუძლებელია ხსენებული კონსტრუქციების დაყენებამდე!..

კომბინატის დირექტორმა შალვა ქობალიამ სამშენებლო მოედანი გვიჩვენა. ზეაღმართული შიშველი ხიმინჯები თითქოს ზეცას შეღაღადებენ თავიანთ გასაჭირს, ელიან „თავსამკაულს“ და სხვა შესამოს-შესამკობს!..

იმედია, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი ყურადღებას გაამახვილებს ამ საწარმოში შექმნილ მდგომარეობაზე და დაუყოვნებლივ მიიღებს გადამჭრელ ზომებს!

ანზორ ბარამია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

მაიაკოვსკის რაიონი სადღეგრძელოს



ქართველებს ერთი ასეთი ანდაზაც მოგვეპოვება: თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო!.. მართალი რომ თქვას კაცმა, აქ ნამდვილად ერაყის დედაქალაქი იგულისხმება, რადგან ჩვენი ბაღდადიდან („მაიაკოვსკი" რომ ეწოდება 1940 წლიდან) ფუტკარს რა სჭირს სხვაგან გასაფრენი — შია თუ სწყურია?!.

სხვათა შორის, მართლის თქმის გუნებაზე ისიც გვაყენებს, რომ უნიჭიერესი საბჭოთა პოეტის, ბრწყინვალე სატირიკოსისა და უზადო კარიკატურისტის ვლადიმერ მაიაკოვსკის მშობლიურ რაიონში მოგვიწია მივლინებამ. „როგორც კი ფეხი დავადგი კავკასს, უმალ ვიგრძენი რომ ვარ ქართველი!" — ამბობს პოეტი. — „როგორც კი ფეხი დავადგით ბაღდადს, ვიგრძენით, რომ ჩვენც ბაღდადელნი ვართ!" — ეს უკვე ჩვენი ფრაზაა, „ნიანგის" ბეჭედი აზის. მთლად ბაღდადელნი არა, მაგრამ დიდად პატივცემულნი გახლავართ ამ ულამაზესი და უშეფგენაცვალეს-შენიჭირიმესი კუთხისა. თუმცა ეს სულაც არ გვიშლის ხელს, გასაკილავი გავკილოთ, რადგან **დიდი რუსთაველის „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიას" გურამიშვილის აფორიზმიც ამაყად უდგას გვერდით — „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?".**

ერთი სიტყვით, თავიდან ჩუმად, უჩინმაჩინივით უჩუმრად ვვარაუდობდით რაიონში ჩასვლას, მაგრამ ხანისწყალში ჩაყვინთვა და ნელ-ნელა გაცურვა ვერა და ვერ ვირისკეთ: კარგ დარში ვაითუ ვინმემ დაგვინახოს კრიალა წყალში და შეგვიყაროს ქვეყანა, ავდარში კიდევ — ვაითუ ანკესზე წამოგვაგონ თევზებზე დაგეშილმა ბიჭებმა და დანარჩენი რესტორან „ნერგეთის" მუშაკებს არ შეეშლებათ, ქართველებს რომ ქართულად ახდევინებენ ფულს და შორეულ სტუმრებს კი დათრობაში სამ მანეთს. ბოლოს ავდექით, დიდი ამბით გამოვიჯგიმეთ მშვილდაძიესულ „კოლხოზნიკში" და ჰაიდაა, ვიწყეთ თვალთვალი და აღნუსხვა ყოველივე იმისა, რაც უწინ არ გვენახა და ახლა ვიხილეთ.

კონსულტაციები გაგვიწიეს და ზოგი რამ ღაგვიზუსტეს **საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გაიოზ ნოზაძემ და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვიტალი აბულაძემ.**

რაიონის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულის დათვალიერებისა და ბლოკნოტში რაღაც-რაღაცების ჩანიშვნის შემდეგ გაიმართა ხალხნაკლული პრესკონფერენცია.

ჩ ვ ე ნ: ნაკლი და ხარვეზი, წუნი და შეცდომა, ყოყოჩობა და დაუდევრობა, უმეცრება და არაკომპეტენტურობა რომ ცუდზე ცუდი სიტყვებია, ბავშვმაც კი იცის. მათ, ბუნებრივია, ყველა ჭკუათმყოფელი განერიდება, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ განვერიდოთ, ჯერ უნდა შევნიშნოთ ისინი ჩვენსავე თავში და ვამხილოთ! **წინასწარ საუბარში თქვენ გქონდათ მცდელობა, რომ უკომპრომისო და თვითკრიტიკულნი ბრძანებულიყავით! იმედია, არც ახლა დამალავთ ხარვეზებს!**

პ ი რ ვ ე ლ ი მ დ ი ვ ა ნ ი: ჩვენი რაიონი უწინარეს ყოვლისა მევენახეობის რაიონია. ამ უბანზე ყველაზე დიდი ხარვეზი ისაა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში კვლავ მეტად დაბალია ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა — 33,3 ცენტნერი. მოსახლეობაში კი ეს მაჩვენებელი 100 ცენტნერს აღემატება!.. ყურადსაღები სხვაობაა!

ხსენებულ საზოგადოებრივ მეურნეობებში მეჩხერიანობა აღემატება 20%-ს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ვკარგავთ 700 ტ. ყურძენს, ანუ დაახლოებით 400 000 მანეთს! დამაფიქრებელი ციფრია!

ა ღ მ ა ს კ ო მ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ჩვენი მუშაობის ხარვეზად მისაჩნევია ისიც, რომ განვლილ სამ წელიწადში ყოველ ას ძროხაზე ნამატის სახით მიღებულია მხოლოდ 63 ხბო, რაც საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელს 7-ით ჩამორჩება. აქვე დავსძენთ იმასაც, რომ ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას მუშაობა სამეურნეობათაშორისო მეღორეობის კომპლექსის ხელმძღვანელობამ (**ამხ. ი. მ ა ჩ ი ტ ი ძ ე**), რათა ხუთწლედის ბოლოსათვის კომპლექსმა მიაღწიოს საპროექტო სიმძლავრეს — 6 000 ღორს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ დ ი ვ ა ნ ი: შეუწყნარებელი თუ არა, არასასურველია, რომ მეცხოველეობის პროდუქტებზე მოსახლეობასთან კოოპერირება მიღწეულია მხოლოდ 23%-ით. შეუწყნარებელი თუ არა, არასასურველია, რომ 16 ფერმის გაზგიდან მხოლოდ სამია უმაღლესდამთავრებული, თანაც არაპროფილით. ნამდვილად შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ ჯერ კიდევ მიუღწეველია რაიონის მწყემსების მთლიანი დისპანსერიზაცია.

ა ღ მ ა ს კ ო მ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ავიღოთ ავტოსატრანსპორტო უბანი. 1980 წელთან შედარებით საავტომობილო ტრანსპორტს კარგი მაჩვენებლები აქვს, მაგრამ აქა-იქ კვლავ გვხვდება უბილეთო მგზავრების გადაყვანისა და სატვირთო მანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები.

ჩ ვ ე ნ: ეგ იმდენად **ფუხმოკიდებული სენია, რომ (სამწუხაროდ) ვერავის გაგაკვირვებთ. რაც კოოპერირების დაბალ პროცენტსა და მწყემსების დისპანსერიზაციას შეეხება, ნამდვილად გვიკვირს!**

ახლა სიტყვა სტატისტიკოსებს ეძლევა! გთხოვთ!..

ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ო ს ე ბ ი: სტატისტიკურ მონაცემებს მოგაწვდით ხოლმე ერთიანი რუბრიკით — **„იცით თუ არა, რომ?".**

...რომ მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი ს რაიონს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია რესპუბლიკაში პენსიონერთა რაოდენობის მხრივ?

...რომ რ ა ი ო ნ ი ს კულტურის სახლიც, კაი ხანია, საპენსიოა (აუშენებიათ 1928 წელს), მაგრამ კულტურის სამინისტრო ახალს არ აშენებს?..

...რომ კ უ რ ო რ ტ საირმის ძვირად ღირებული კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების შეუსრულებლობა არ გეპატიებათ არავის, ვისაც იგი გეხებათ?..

...რომ რაიონს აკლია რუსული ენის მასწავლებლები, რის გამოც წინა წლებში თვეობით არ ისწავლებოდა ეს საგანი?..

ჩ ვ ე ნ: ხომ არ მოგვწყინდა, მეგობრებო, ნაკლოვანებებზე საუბარი?

პ ი რ ვ ე ლ ი მ დ ი ვ ა ნ ი: პარტიის რაიკომის ბიურომ მკაცრად შეაფასა რაიკოოპერატივის მუშაობა გასულ ორ წელიწადში. თანამდებობიდან განთავისუფლდნენ და პარტიული სასჯელი დაედოთ გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეებსა და ვაჭრობის განყოფილების **გამგეს.** შარშან საფუძვლიანად გადავახალისეთ გამგეობის შემადგენლობა გამოცდილი ამხანაგებით, რის შედეგადაც უკვე შეინიშნება ერთგვარი ძვრები.

ა ღ მ ა ს კ ო მ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. საერთოდ დაბალია რაიონში მომსახურების კულტურა. სასურველ დონეზე არ დგას სახელმწიფო დისციპლინაც. ამას წინათ სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საანგარიშო მონაცემების განგებ დამახინჯებისათვის სასტიკი საყვედური გამოუცხადა საწესჩვეულებო **მომსახურების საწარმოო კომბინატის დირექტორს ამხ. ა ფ უ ლ ა რ ი ა ნ ს**

პირველი მდივანი: 1982 წლის 20 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „ულორაწ სარმეშენი მეურნალობისა და დახსენებისათვის საგარო პირობების შექმნის დამატებით ღონისძიებათა შესახებ", რის შესახებ ...

ლაშარ მასხარაშვილი

ლებადაც ულორაწმა მიიღო სატელევიზიო გადაცემები, ავიღოთ ამორტიზებული შენობები, უდანაზო ავიშუშავეთ ოდგალაკბინიანი საბაზანები, მაგრამ ეს მეორეზე მეორეა იმასთან შედარებით, რაც დადგენილებითაა გათვალისწინებული. ამიტომ ვთხოვთ საქართველოს სსრ ჯანდაცვის, სპინიალ-კომუნალური და სავოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, ეცადეთ ეს გამგეობის, საქ. სსრ სახმენსა და ავტომოყვარულთა ნებაყოფლობით ხაზოგადოებს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, შესარულეს რესპუბლიკის საფორეტენო ორგანოების დადგენილებანი!

ჩვენ: ეიდრე სიტყვას სტატისტიკოსებს დაკუთმობდეთ, რაიონის ხელმძღვანელობამ ეთავზობთ პროექტს პრანაგნისათვის: „ეამოეკენენი სარეკეზბანა და ეკეერეკილი ხელმძღვანელობისათვის კეშმარკბმეკობის სარაიონო კეანის ულორაწ ამბ. ო. მეეიდლეძეს მიეთითოს სიტყვერად და ფაკვალის, ყოველ ხანეკენ საათში ერთხელ დიერეკოს ალმაკოეთის სათანადო განყოფილების ინსტრუქტორს". ენამოთ, როგორც დიერეკკეს!..

სტატისტიკოსები: იცით თუ არა, რომ?

...**რომ** უხარისხო შენება უფიდეს ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას? ბოლო სამ წელეწადში მოლალად დაინერა ძეერაგი ნაშენი წყალეობარაკეთა გამწესებელი ნაგებობა, რომ პერკომბინატის მშენელობაზე გამოკლებულ 25 000 მანეთის დეფიციტი და რომ არც ობნის ორკონტაჟის სახელობის კოლმეურნეობის კომპლექსს დაალეკს ხელი ვაი-შენენლეკსმა?..

...**რომ** არ იზრდება შობლობა და მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის მიხედვით მიიკოოსკის რაიონს ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია მოელს რესპუბლიკაში?..

...**რომ** ბოლო სამ წელეწადში ოფიციალურად იქნა აღრიცხული ხელოვნური აბორტის 2 000-მდე შემთხვევა?..

პირველი მდივანი: დასაწყისში თქვენ ფიდი გურამიშვილის ბრწყინვალე ადორიზმი მოიშველიეთ — „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავაჩეკი?!" ორიოდე სიტყვით ჩვენს მიღწევებსაც მიგანშნებდით, თუ შეიძლება.

ჩვენ: „ნაბეგნ" მანდამანე არ ეზერხება წარმატებებზე საუბარი, მაგრამ ეს მორეული ექოსაეთ ნაგვანის ოქვენს ნიალში დაბადებული ფიდი მიიკოოსკის „პრაცხენა! პრაცხენა! პრაცხენა!.." ხოლო ჩვენს გრანდიოზულ აღმშენებლობით პროგრამას რომ ფეხი შეედგინა ალუწყოთ, დიახაც წარმატებებია საჯირო! ვიმპენთ...

პირველი მდივანი: შარშან მიიკოოსკელმა მეკვლისეებმა გადაჭარბებით მიზიდეს ღვინის ქარხნებში ასოთი ტონა ხარისხოვანი ყურძენი. ნაცვლად გეგმიერი 19 500 ტონისა, სახელმწიფოს მიეცოდა 19 882 ტონა. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის ყველაზე თვალსაჩინოები და მნიშვნელოვანი მიღწევა.

ყოველწლიურად იზრდება საზოგადოებრივი სექტორის მიერ წარმოებული მეცხოველეობის პროდუქციის ზეგაზრდილი წილი. ხორცის მოიღეს გეგმა შესრულდა 130%-ით.

აღმასკომის თავმჯდომარე: ეს წარმატებანი, რასაკვირველია, თავისით კი მოსულა. არა ეჭვი და ორი ბანკლოვანი მეკვანაე გვყავს რაიონში, მაგრამ მაზაკეკების თანმიმავალი უპირატესობას მაინც მანდილოსანს მივაკიუნებ. ეს გასალეკი საქეკეონოდ სახელვანაშემელი საკრაულს (ყოფილი კოკნეკეკეთის) კოლმეურნე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლაშა მაღლას ასული მასხარაშვილი, რომელიც ავერ ორი ათეული წელია გადაჯარბებით ასრულებს გეგმებს.

ჩვენ: პარაკეთ მის ქალაბას!..

პირველი მდივანი: დიახაც ეამაეკებათ საკრაულეკენ, რომ მათი სოფელი ეკუდიკეი ღვინის ეკონაკლების ცენტრაში მოექცა რეკენეის მეკინეარეების ულმობელ ხანაში. 1912 წელს კოკნეკეკეთის იმერთინდეკი სალეჭერეკ და ეუტანელი პირობები მარკვედ გამოიკენა რევოლუციის ბეღლაში. თვითმპყრობელობის სარნაალმდეგოდ გამიზნული სტატიაში „გადასახლების სალთხი".

სტატისტიკოსები: იცით თუ არა, რომ?..

...**რომ** სოფელ საკრაულში ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ექვსი სოციალისტური შრომის გმირი ცხოვრობდა და შრომობდა, მაშინ როდესაც ზოგიერთ რაიონს საერთოდ არა პყავს სოციალისტური შრომის გმირი?..

...**რომ** სპარაულს მიიკოოსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ოთარ კიკნაველიძეს, სხვა სიკეთეს ერთად, შემოეტანა აქეს ყოველდღიური ჩანაწერების ჟურნალი, რომელიც სოფლის ერთგვარ მატიანეს წარმოადგენს. რამდენიმე წამში შეეძლია მოგახსენოთ, რა მოხდა განსაკუთრებული მის კოლმეურნეობაში, ვთქვათ, 1974 წლის 14 აპრილს თუ 7 მაისს?

...**რომ** 1979 წელს მიიკოოსკის რაიონში 80-ს გადაცილებულები იყო 1505 კაცი, მეზობელ ვანის რაიონში კი — 12357 თუმცაღა კაცობრეელმა არ იცის, საით გადასწონის სასწორის ბინა მეგ-14 ხუთწლეკის ბოლოსათვის.

ნიკოლოზ კუჭუხიძე

ჩვენ: სტატისტიკოსებმეც, როგორც ხედავთ, შარა ავვიბეს. სასიამოვნო ინფორმაციას კიდევ ხომ არაფერს დაკუმატებდეთ?

პირველი მდივანი: სიამოვნებიან!.. თუ წინა ხუთწლეკის ბოლოსათვის რაიონში არსებული ჩვიდმეტივე საზოგადოებრივი მეურნეობა ზარალიანი ნეკოდა, უკვე 1982 წელს მხოლოდ ექვსმა მეურნეობამ გვაჩვენა ზარალი, ხოლო შარშან სასაალლოდ: ალარც ერთი ზარალიანი მეურნეობა ალარ გვყოლია!..

აღმასკომის თავმჯდომარე: როდესაც შარშანდელ მიღწევებზე ეკუბრობთ, არასამარცლიანი იქნება იხეთი ობიექტების ეკრინი არ მოხსენიება, როგორიცაა: მინწყლების ქარხანა (დირექტორი ამბ. ალექსანდრე კოკაძე), საავეო ფაბრიკა (დირექტორი ამბ. ზურაბ მოსიძე), სატყეო მეურნეობა (დირექტორი ამბ. ელისაბ ფორმანიძე), მეფრინველეობის ფაბრიკა (დირექტორი ამბ. თ. საკანდელიძე) და სხვ.

პირველი მდივანი: სადღესაწოდ რაიონში მიმდინარეობს 72 ობიექტის მშენებლობა, რაზედაც დახარჯულა 6.670 000 მანეთი. ეს უმოლდეს მე-10 ხუთწლეკდში მეურნეკეკენი სამუშაოების მოლთან მოეცალნას!

ფიდი ხანი არ არის, რაც რაიონის მშრომელებმა იზეიმეს ბუნებრივი გაზის მიღება.

აღმასკომის თავმჯდომარე: გარკვეულ ეურაოლებას ეუფობნი მთიანი სოფლების ეკოიღნოწყობის. მაგალითად, ხანში საკეშალეკაციოდ გადაეცა მეცხოველეობის ფერმა ას სულ საკონელზე, მშენელობის პროექტანი საკეშიო ამბეკლატორი. წელს დასრულდება კლუბ-კინტორის მშენებლობა. იქვე გაიხსნება სპეშრეი კაბელების საამქრო, რაც მრეწველობაში კოოპერირების შესანიშნავი საშუალება გამოდგება. წელსვე ამენდება საშუალო სკოლა კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, რისთვისაც 316 000 მანეთია გამოოფილი. ასევეა სხვა სოფლებშიც. იმპანი შენდება საბავშვო ბაღი, რეკენეანი სკოლა, ამანო, ეკეკე გადაეცა ექსპლუატაციაში მეცხოველეობის კომპლექსი 200 სულ საკონელზე და სხვ...

სტატისტიკოსები: იცით თუ არა, რომ?

...**რომ** ყოველივე ამ სიკეთეს ობჩეკენი თავიანთ თანასოფელეკ ეკუმერ მეეიდლეძესაც უნდა უმადლოდნენ, რომელიც რაიონის აგრონომმარეკენი გეოგრაფიულის თავმჯდომარეობს?..

...**რომ** მხოლოდ ჩვმპოლის ჯადარაკი ანატოლ კარაოეს არ ეჩენია შემთხვევა კორესპონდენტის შეკითხვაზე ჩიხში მოქეცეულიყო. გამოსაკლისი შარმან ხაფეკის მოხდა მიიკოოსკში: გ. სოფლის შეკითხვაზე — „ეის თვლით მსოფლიოში № 2 მოგვარა-



ოთარ კიკნაველიძე

კედ?" ჩემპიონმა მხრები აიჩეჩა და ბოდიში მოიხადა, ვერ გეტყვითო?..

...**რომ** ნიკოლოზ კუჭუხიძე, მიიკოოსკის სახლ-მუზეუმის დირექტორი, ხმიოდა, თვალებითაც და ტემპერამენტითაც ნელ-ნელა დაემსგავსა და კოდევაც გადაუსწრო თვით ვლადიმერ ვლადიმერის ძეს?..

ჩვენ: ეფიქრობთ, კარგი ნერტილია — მიიკოოსკთან დავუბეკეთ და მიიკოოსკიდეკ დაკამაკეთ! პრეზიდენტენია, ჩვენი აზრით, ეინტერესო! ეა. ამოეკეთ ეინტერესო! ეა. ...



პირველი მდივანი: რაც შეეხება კითხვას, ერთადერთი რამ გვაინტერესებს: — რომელ ნომერში დაბიეედეკეთ ეს ჩვენი სუბარი?

ჩვენ: მაგ საიდუმლოს არე ჩვენ ვეემხელენ ხოლმე ოეადეკეიანში. ახე რომ, კარაბოეით მოვეკეკეთ ნიხში.

პირველი მდივანი: კო, მარილა, „ჩიხზე" გამახსენეთ! კიდევ ერთი პრობლემა, რომელის დროულად გადაჭრისაც უფიდეკეთ ეკონომიკური ეფექტი ექნება — სადეკენ ალამეიდან ჭარეკინის დასახლებამდე ბეკნაკა შემოვიეანით სარკინიგზო ჩიხი თავიანი დამტვირთავი ბაქნით, რაც ერთთანად და უფრო მეტადაც შეამცირებს კოლოსალურ საბრანსპორტო ხარჯებს. ვვეიმედებთ, რომ ამ მხრივეკ დიდგეზეკენ მხარს ეიმდგომი ორგანენი.

ჩვენ კი (ვგულისხმობთ როგორც რაიონის ხელმძღვანელენ ამხანაგებს, ასევე ყველა მშრომელს) გამსჭვალულენი ვარო უფიდეკნი პასუხისმგებლობითო, რათა ჩვენმა რაიონმა კიდევ უფრო მასტბაბურ წარმატებეკს მიაღწიოს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, იმ გრანდიოზული პროგრამის შესრულებაში, რომელიც სკკ 26-ე ყრილობამ დაუსახა საბჭოთა ხალხს. ჩვენ ყოველმხრივ ვეკრძნობთ საკარველეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სისტემატურ მხრნეველობასა და პრაქტიკულ დახმარებას, რაც კიდევ უფრო გაგვაეწყობს ამირული შრომისათვის!

ბიჭო ზარაკაძე,

ტარიელ ჩარაქლელიანი,

„ნიანგის" სპეციალური კორესპონდენტები.

**შეგობრული შარგები ო

„ფრიქსიბარი“ სპეციალური

ფელეტონი

ერთ ჩვეულებრივ დღეს ნინო მელელაშვილი ავჭალის გზატკეცილის № 65 სახლში სავარძელზე მიწოლილიყო და იოსებ გრიშაშვილის ცნობილ ლექსს — „ვენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“ — კითხულობდა.

„...წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა: შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე“.

— არის! მივაგენი! — ტაში შემოჰკრა **ნინომ** და წიგნი გვერდზე მოისროლა, — გრიშაშვილო, შენი სულის ჭირიმე! ეს რა ბრძნული აზრი დამებადა!

ნინოს საიდუმლო სულ უბრალო იყო: იგი ბნელი და საეჭვო გზებით შოულობდა ცნობილი მწერლების ძვირფას გამოცემებს და მამასისხლად ყიდდა!..

ნინო მელელაშვილმა მალე კარგი მწერალივით გაითქვა სახელი. წიგნის მყიდველები, როგორც თაფლს ბუზები, ისე ეხვეოდნენ! ნინოს განსაკუთრებით ისეთი წიგნის მყიდველების მოსვლა უხაროდა, რომლებიც წიგნებს ლამაზი ყდის გულისათვის ყიდულობდნენ, რათა იგი კარადაში ჩაეკეტათ! მან იცოდა, რომ ასეთი მყიდველები ფასზე უკან არ დაიხევდნენ და, რაც მთავარია, ნაყიდი წიგნის წამკითხველიც არავინ იყო!..

ერთ დღეს ნინოს წიგნების ახალი მუშტრები ეწვივნენ: **მაყვალა მონიავა** და **აღაბაი სიონ-ოღლი**.

„წიგნობარმა“ ნინო მელელაშვილი სულ ენად გაიკრიფა, სასპეკულაციოდ გამზადებული ახალგამოცემული წიგნების მთელი შეკვრა გამოალაგა, თან წიგნებზე წინასწარ დაზეპირებულ აფორიზმებს სხაპასხუპით აყრიდა თავის კლიენტებს.

— წიგნი ჩემი ჭეშმარიტი მეგობარია! იცით, ანატოლ ფრანსმა რა თქვა? — პასუხს არ დაუცადა და განაგრძო: — **„საუკეთესო წიგნები ისინია, რომლებიც ყველაზე მეტ საზრდოს იძლევიან!“** გაიგეთ?

— თქვენ ერთი სიტყვა გამოტოვეთ ანატოლ ფრანსის სიტყვებიდან. — შეეპასუხა მაყვალა მონიავა, — **„საუკეთესო წიგნები ისინია, რომლებიც ყველაზე მეტ საზრდოს იძლევიან ადამიანებისათვის!“**

— ?!

მაყვალა მონიავასა და ბისი მეგობრისათვის 15 დასახელების წიგნი „მწიგნობარმა“ სპეკულანტმა ცალკე გადააწყო. საანგარიშოს კოჭებს სალოკი თითი გაჰკრა-გამოჰკრა და ჯამიც გამოიყვანა.

— **321 მანეთი მერგება!** სულ ტყუილად დაგითმეთ, მაგრამ ისევ წიგნების სიყვარულით!..

მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს, „მწიგნობარ“ სკეპულანტს ფული გადაუხადეს, წიგნები იღლიაში ამოიჩარეს და ბინიდან გავიდნენ.

ნინო მელელაშვილმა მხიარულად ჩაიქირქილა:

— **ესეც ასე! 45 მანეთად და 75 კაპიკად ღირებული წიგნებიდან წმინდა მოგება 275 მანეთი და 25 კაპიკია!**

მალე ყველაფერი გაირკვა. მილიციის მუშაკებმა „მწიგნობარ“ **ნინო მელელაშვილის** ბინაში სასპეკულაციოდ შეძენილი იმდენი ძვირფასი წიგნი აღმოაჩინეს, რომ სოლიდურ ბიბლიოთეკასაც კი შეშურდებოდა. მაინც რომელი ავტორის წიგნი გინდოდათ, აქ რომ არ ყოფილიყო! სასამართლომ ნინოს საკადრისი სასჯელი მიუზღო!

ზაალ მესენგისერი

— კიდევ საპროტექციოდ რეკავ?!.

დიალოგები

— თქვენი რძალი სამსახურში ხშირად ხაყვედურს ღებულობს!
— დაუჯერებელია!.. მე ისეთი რძალი მყავს, თუ არ მოეწონა, ხაჩუქარსაც არ ღებულობს!

●

— კანონის თანახმად, შვილი დედას ეკუთვნის და არა თქვენ!
— მართალია, მაგრამ თვითონ მაჩუქა — როცა ხამშობიაროში მივედი, მითხრა, ვაჟი გაჩუქეო!

●

— თქვენი ვაჟი გაკვეთილზე მუდამ ერთი და იმავე შეკითხვით მომმართავს, თქვენს ადგილზე მე მას დავსჯიდი!
— ასეც მოვიქცევი, მაგრამ ჯერ თქვენი პასუხი უნდა მოვახმინო!

●

— ბიძია, მართალია, რომ თქვენს წიგნში უმაგალითო ამბებზე წერთ?
— დიახ, ბიჭუნა!
— არ შეიძლება, ჩვენი მათემატიკის წიგნიც თქვენ დაწეროთ?

●

— ამ ჭურდის ცოლს ისეთი კაბა აცვია, რომლის მსგავსიც ჯერ ჩვენს ქალაქში არავის არ სცმია!
— ო, ეს წარმოუდგენელია! მაშ, ვის შობპარა მისმა ქმარმა?

●

— ეს ყმაწვილი თავხედია, უფროსების პატივისცემა არ იცის!
— არა მგონია!.. დირექტორს დღესაც ძვირფასი სუვენირი მიართვა!

●

— რატომ არის ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუდამ გაჩუმებული?
— გაუგია, ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლებაო!

ნანული ჯავახიშვილი
(გურჯაანის რაიონი)

თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩის № 4 სახლის მობინადრეებს სამი წელია, არა აქვთ ცხელი წყალი. № 22 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორა კი მათ მაინც ახდევინებს ცხელი წყლის გადასახადს.

ნახ. ვ. მორჩაძისა



ცივი წყლის ონკანი — ცხელი წყლის ონკანს:
შენ იძინე, ჩემო ძმაო, ხელფასს მაინც ღებულობ და...

ენისელელთა სათხოვარი

ენისელი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ყვარლის რაიონში, აქ შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ.

მინდა მოგახსენოთ: ენისელში არის ერთი უნივერსალური მაღაზია, რომელიც მოთავსებულია ორსართულიან შენობაში. როგორც ადგილობრივი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, შენობა აუგიათ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში. პირველ სართულზე მოთავსებულია სამეურნეო საქონელი და წიგნები, მეორე სართულზე, ერთ დიდ, ჭერჩამონგრეულ, ბნელ დარბაზში, შეგიძლიათ შეიძინოთ საგალანტერეო საქონელი, ფეხსაცმელი და მზა ტანსაცმელი. მართლა არ გეგონოთ, მთლიანად იყოს ჭერი ჩამონგრეული. როგორც მრავალწლიანი დაკვირვებიდან ჩანს, მხოლოდ წვიმის დროს ჩამოდიოდა წყალი სახურავიდან და სწორედ მაშინ ინგრეოდა გაჯით ნალესი ჭერი. სახურავი შეკეთდა, გაულესავი ჭერი კი...

იქნებ ენისელელთა სათხოვარი გაითვალისწინოს რესპუბლიკის ცეკავშირის ხელმძღვანელობამ და აუშენოს სოფელს თანამედროვე კეთილმოწყობილი სავაჭრო სახლი!

ჯანსუღ გიორგელაშვილი,
„ნიანგის“ კორესპონდენტი თელავის ზონაში.

ფრაზები

● **განყოფილებაში** საქმიანი მხოლოდ ქაღალდები იყო.

● **გაგებულ** წინადადებას ორივე ხელის აწევით მისცა ხმა, ერთით მხარს უჭერდა, მეორით წინააღმდეგი იყო.

● **რაც** უფრო ძვირფასია მუშაკისათვის საქარხნო მარკის ღირსება, მით უფრო ძვირად ფასობს იგი.

● **ისე** არაფერი ფლანგავს დროს, როგორც ცარიელი ლაპარაკი მის ეკონომიაზე.

„ეკონომიჩესკაია გაზეტა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **პრივეტ, შე პირდოუბანელო! — დამესალმა ოთარია სქელო.**

— **შვიდის ნახევარია, შე ჩემზე უარესო, და საიდან ვიქნები პირდაბანილი?!**

— **ათის ნახევარზე კი იქნები?**

— **წყალი თუ იქნება „კრანტში“, როგორ არ ვიქნები!..**

— **კაი მასალა გკლებია!..**

იქით სქელომ დამაწყვიტა ნერვები, აქეთ კიდევ თითისსიგრძე ქეთიმ ამომიღო ტვინი:

— **მამი, რას ნიშნავს „მოწყალეო ხელმწიფევ“?**

— **მერე გეტყვი!**

— **„უმოწყალოდ სცემდა“?**

— **მერე-მეთქი!**

— **„გული ნუ გამიწყალე“?**

— **მომეშვი, თუ არა, გადაგასხი წყალი თავზე!**

— **გადამასხი!**

ბავშვს ყური ავუწიე და აწივლებული დედამისთან შევარდა. ახლა სქელოს შევუღრინე:

— **კი მაგრამ, შენ რით დაიბანე ცხვირ-პირი, შაუმიანზე მოდის წყალი თუ? — წინდაწინ დავიბოღმე, ვაითუ მარტო არაყიშვილზე არაა-მეთქი.**

— **წყალი არც შაუმიანზეა და არც ბევრგან, მარა სიდედრი მყავს ღვთისნიერი — ჩემ ქვისლს, ავტოქარხანასთან რომ ცხოვრობს, „ბოჭკაში“ ჰქონია და ტაქსით მოგვიტანა წუხელის ერთი „კანისტრა“.**

— **წამოვიღებ, აბა, სამ ბოთლ შამპანურს და გადამიცვალე, თუ კაცი ხარ, წყალში!**

— **რავა არ გადაგიცვლიდი, მარა ჟორჟიკიამ დამირეკა, ლავაშამ, — ორი ბოთლი „ენისელი“ მომაქვს და სამი ლიტრა წყალი უნდა გამიშანსოო!**

— **რა ოხრობად გინდა ამ პაპანაქებაში კონიაკი, შამპანური არ გირჩევნია?! — იქნება პირი შევაშლევინო-მეთქი.**

— **კი მირჩევნია, მარა ჟორჟიკიას თბილისელი სტუმრები ჰყოლია „წყალკანალტრესტიდან“ და პირდოუბანლებს მიართმევს ხაშს?! შენც წამო, ხაშზე რომ ფეთდები!**

— **რას გეტყვი, იცი? გავახლაფორთებ ამ შემოდგომაზე მეც ერთ რკინის კასრს და ვნახოთ მერე!**

— **რას მეჩემები, შე კაცო?! ასეც გიქნია, მარანი აგიშენებია წყლის! მარა ტანი მიგრძნობს, ხახვივით შეგრჩება წვალება!**

— **რატომ ვითომ?!**

— **შეუძლებელია, ქალაქის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ წყლის პრობლემაც არ გადაჭრას და იმიტომ!..**

პირდაუბანელი კი დავრჩი, მაგრამ ოთარია სქელოს იმედიანმა სიტყვებმა ისე გამითბო გული, რომ მეორე ოთახში გავედი და აწივლებულ ქეთის ბოდიში მოვუხადე, მეტს აღარ ვიზამ-მეთქი.

ტიტე ქავთარაძე
(ქ. ქუთაისი)

№ 560
10.IX 84

ეროვნული

იური ყეინაშვილი

უსიტყვო ნახატები







შუა უზის დიდი ზღვარი!..

თბილისიდან გაწუხებთ: **წერეთლის პროსპექტის № 12 კორპუსში გვენატრება ცივი წყალი!** როცა ვიჩივლეთ და თხოვნით მივმართეთ სხვადასხვა ინსტანციებს, საიმედო პასუხები მივიღეთ **პირველი მაისის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომიდან** და **თბომეურნეობის სამმართველოდან**, საიდანაც გვწერდნენ, რომ ამ კორპუსებში ცივი წყლის მიუწოდებლობა გამოწვეული იყო № 6 თბოსადგურისათვის ბუნებრივი გაზის შეზღუდვით, ამჟამად კი მდგომარეობა გამოსწორებულია და წყალს მიიღებთ დადგენილი გრაფიკის მიხედვითო! **აღმასკომიდანაც** და **თბომეურნეობის სამმართველოდანაც** მიღებული იმედიანი პასუხები დარჩა მხოლოდ პასუხებად! კარგი კი იქნებოდა, რომ ამ თბილ პასუხებს ცივი წყალიც მოჰყოლოდა. ნუთუ, თავით წყლის ნაყვაა ჩვენგან ამდენი საჩივრების წერა? ნუთუ, წყალში ჩაცვივდა ჩვენი ამდენი თხოვნა-ვედრება, რომ ცივი წყალი მოგვაწოდონ?

ეზოა, თუ ავტოსადგომი?

თბილისში, **იოსებიძისა** და **ბულაჩაურის ქუჩების გადაკვეთაზე** დგას ოთხსადარბაზოიანი, ხუთსართულიანი სახლი, რომელშიც ცხოვრობს 70-მდე ოჯახი. ამ ოჯახების წევრებს კარგა ხანია ძილი და მოსვენება დაკარგული აქვთ ერთი მიზეზის გამო: ეზოში ყოველდღიურად, დასადგომად შემოდის უცხო მოქალაქეთა ათობით მსუბუქი ავტომანქანა და ეზო უფასო ავტოსადგომადაა გადაქცეული! ვინც კი საკუთარი მანქანით მოდის ამ სახლის ახლომდებარე საშუალო სკოლაში, ბაგა-ბაღში, სახბანკსა თუ სატყეო მეურნეობაში, საფოსტო განყოფილებასა თუ მაღაზიაში, სამშენებლო ტრესტში თუ წყალთა მეურნეობის სამმართველოში, ატელიეში თუ კინოთეატრ „გაზაფხულში", ყველასათვის მოსახერხებელი და ხელსაყრელია აქ მანქანის დაყენება. არის ეზოში მანქანების რია-რია, შესვლა-გამოსვლა, სიგნალების ყურთასმენის წამღები ხმაური, ძრავების გაუთავებელი გრიალი. სინამდვილეში, სახლის მისამართია იოსებიძის ქ. № 53 და მისი ეზოს შემოსასვლელი სწორედ ამ ქუჩიდან უნდა იყოს, მაგრამ პირველ სადარბაზოში მცხოვრებლებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — იოსებიძის ქუჩიდან შესასვლელი ბოძითა და ჯაჭვით გადაღობეს, ამიტომ მანქანები შედიოდნენ ბულაჩაურის ქუჩის მხრიდან (ერთ-ერთმა მობინადრემ კი იმავე შემოსასვლელის მარჯვნივ დრჩენილი ეზოს ნაკვეთი მწვანე ბუჩქნარით შემორკალა და ბავშვებისათვის სათამაშოდ განკუთვნილი ადგილი საკუთარ ბაღ-ბოსტნად აქცია).

სად არ იჩივლეს მანქანების ხმაურითა და ძრავებიდან გამონაბოლი აირით შეწუხებულმა მესამე და მეოთხე სადარბაზოების მობინადრეებმა — № 75 **საბინაო-საექსპლუატაციო უბანში, ორჯონიკიძისა** თუ **საბურთალოს რაიაღმასკომებში, საბინაო ტრესტში,** მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. ბოლოს, **ორჯონიკიძის რაიაღმასკომმა** ნება დართო მათ ბულაჩაურის ქუჩიდან შემოსასვლელში დაეყენებინათ ალაყაფის კარები. შეკრიბეს მობინადრეებმა ფული და დააყენეს კიდეც კარები თავისი საკიდურით, მაგრამ უცხო პირები მაინც აღებდნენ თვითნებურად და ისევ შემოდიოდნენ მანქანებით. მაშინ მეოთხე სადარბაზოს მაცხოვრებლები იძულებულნი შეიქნენ ალაყაფის კარებზე ბოქლომი დაეყენებინათ (კარების დანიშნულება ხომ სწორედ ის იყო, რომ დაკეტილიყო და ეზოში მანქანები არ შემოეშვათ?). შეიქნა მეზობლებს შორის დავა, ჩხუბი, აყალმაყალი, კინკლაობა. ერთნი (პირველ სადარბაზოში მცხოვრებნი) მოითხოვდნენ ალაყაფის კარების გაუქმებას, მეორენი (ბოლო სადარბაზოს მობინადრეები) — იოსებიძის ქუჩის მხრიდან შემოსასვლელში ბოძებისა და ჯაჭვის ჩაჭრას და გზის გახსნას. ამ დავიდარაბაში **საბურთალოს რაიაღმასკომის საბინაო ტრესტის წარმომადგენლებმა** მობინადრეთა საყვედურების თავიდან ასაცილებლად ორივე მხრიდან გააუქმეს როგორც ალაყაფის კარები, ისე რკინის ბოძიცა და ჯაჭვიც, აქაოდა, ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით ასე უფრო გამართლებულიაო!.. (ასე გადაიყარა წყალში მობინადრეთა პირადი თანხა — 750 მანეთი). მესამე და მეოთხე სადარბაზოების მობინადრენი კი ისევ შეწუხებულნი არიან უცხო პირთა მანქანებით!..

როდემდე გაგრძელდება ასე?

იმედია ამ საკითხზე სახალხო დეპუტატების **საბურთალოს რაიაღმასკომიდან** სრულ და ამომწურავ პასუხს გაგვცემენ!

ვანო ციცაძე

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრის ხსოვნას

მძიმე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ჟურნალ „ნიანგის" შემოქმედებით კოლექტივს უდროოდ გამოაკლდა ნიჭიერი იუმორისტი მწერალი და ჟურნალისტი, 1963 წლიდან სკკპ წევრი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი **გარი ივანეს ძე მეტრეველი.**

გარი მეტრეველი დაიბადა ქალაქ სოხუმში, მუშის ოჯახში.

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის კალინინის რაიონის პიონერთა სახლის დირექტორად.

1957 წლიდან ჟურნალ „ნიანგის" რედაქციის ლიტერატურული მუშაკია. აქ მიეცა შესაფერისი ასპარეზი მის მახვილ, მაძიებელ გონებასა და იუმორისტი მწერლის თანდაყოლილ ნიჭს. მისი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები, კრიტიკულ-მამხილებელი წერილები თუ ფელეტონები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ქვეყნდებოდა ჟურნალის ფურცლებზე, მკითხველთა დიდი მოწონებით სარგებლობდა.

გარი მეტრეველის საუკეთესო მოთხრობებმა, იუმორესკებმა, მინიატიურებმა, რომლებიც „ნიანგის" ბიბლიოთეკის" სერიით 4 კრებულად გამოიცა აღიარება მოუტანეს მის ავტორს.

გარი მეტრეველის კალამს ეკუთვნის ნიჭიერად, საქმის ცოდნით დაწერილი მხატვრული ნარკვევი მიხეილ მესხზე— „მე-11 ნომერი", რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა „საბჭოთა საქართველომ". იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო „ნიანგის" რედაქციის პარტორგანიზაციის მდივნად, მდივნის მოადგილედ, საზოგადოება „ცოდნის" პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

1977 — 1980 წლებში გ. მეტრეველი საქართველოს სსრ გამსახლობის გაერთიანება „საქწიგნის" მმართველის მოადგილე და გლდანის ზონალური გაერთიანების დირექტორი იყო.

1983 წელს იგი კვლავ დაბრუნდა „ნიანგის" რედაქციაში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

შარშან, ჟურნალ „ნიანგის" დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით, გარი მეტრეველი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

წავიდა ჩვენგან უკეთილშობილესი, სიცოცხლის ხალისით, იუმორის გრძნობით აღსავსე პიროვნება, რომლის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

ნიანგელები

7-84 84-560

ბანა აზიის ვითარების დესტაბილიზაციას არ იწვევს იაპონიის მილიტარიზმის აღორძინებისა და განმტკიცების კურსი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ადგას? ვაშინგტონში არ მალავენ, რომ განზრახული აქვთ იაპონია თავიანთ „ჩაუძირავ ავიამზიდად“ გადააქციონ.

ბ. უ. ჩერნენკო



„ჩაუძირავი“ ნახ. ბ. მორჩაძისა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 15 (1673) აგვისტო. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი). **ვაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წოვწოვაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი **მიხეილ კუსალაშვილი**

●

გადაეცა ასაწყობად 9. 7. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 8. 84 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 1503 უე 08159 ტირაჟი 138.300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38. მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137